დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სკოლამდელი განათლება, საბაკალავრო საფეხური

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი:
04.04.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი:
02.06.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 11

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 11

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 23

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 32

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 36

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 47

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქეთევან აფთარაშვილი,** შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ხათუნა დოლიძე,** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნინო ჯიჯევაძე,** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ქრისტინე ჩიხლაძე,** სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ანა ჭრელაშვილი,** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სკოლამდელი განათლება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Preschool Education
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სკოლამდელი განათლების ბაკალავრი Bachelor of Preschool Education
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება Training for Preschool Teachers 0112
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი განათლება“ შესამუშავებლად სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მონაწილეობდა UNICEF-ის მხარდაჭერით სკოლამდელი განათლების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში (სეზონური სკოლები, კონფერენცია, ვორკშოპი და ა.შ.); პროგრამის სამუშაო ჯგუფი საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, გაეცნო ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, კერძოდ:

- BA Early Childhood Studies, University of Plymouth, UK, https://www.plymouth.ac.uk/uploads/production/document/path/16/16720/BA_Hons_Early_Childhood__21-22_6776.pdf
- BA Kindheitspedagogik, Die Katholische Hochschule für Sozialwesen Berlin , DE https://www.khsb-berlin.de/en/B.A.Kindheitspaedagogik
- Kindheitspädagogik (B.A.), Die Katholische Stiftungshochschule München (KSH) , DE https://www.ksh-muenchen.de/hochschule/
- Preschool Teacher BA Program, University of Pecs, Hungary. https://kpvk.pte.hu/en/pre_school_teacher_ba_program

მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება საერთაშორისო ექსპერტების მიერ (პროფესორი იან პიტერსი; პროფესორი ფაბიო დოვიგო; პროფესორი ენე სილვია სარვი).

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ **მიზანია** მოამზადოს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სკოლამდელი განათლების ბაკალავრი, რომელსაც:

- *„გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გაცნობიერებული აქვს პროფესიის მნიშვნელობა საზოგადოებისა და ქვეყნის განათლების სისტემისთვის;*
- *პროფესიული საქმიანობისას შეუძლია ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე ზრუნვა, ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით სიტუაციის ანალიზი, კომპეტენციის ფარგლებში სწორი გადაწყვეტილებების მიღება და მისი წარდგენა მშობლების, პროფესიონალებისა და თემისთვის, თანამშრომლობითი ფორმით;*
- *ჩამოყალიბებული აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება, პატივს სცემს ეროვნულ და ზოგად-საკაცობრიო ღირებულებებს, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპებს, ზრუნავს პროფესიული განვითარებისა და შრომის ბაზარზე დამკვიდრებისთვის”*

პროგრამის მიზნები ეფუძნება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ფაკულტეტის დებულებას, სკოლამდელი განათლების სფეროს სპეციფიკას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დამსაქმებლის მოსაზრებებს/რეკომენდაციებს;

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

სკოლამდელი განათლების პროგრამა არის ახალი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, სამეცნიერო) რაოდენობა ჯამში შეადგენს 23-ს;

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანების #191483 შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2023 წლის 4 აპრილს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმში „სკოლამდელი განათლების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით;

ვიზიტი წარიმართა აკადემიურ გარემოში, შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ყველა შეხვედრა; კერძოდ ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა მოწოდებაც დაწესებულებამ დროულად უზრუნველყო; ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო პროგრამის შესახებ ადგილზე ვიზიტის ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები/მიგნებები;

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა მეტწილ შესაბამისია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისია სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**
  - **სტანდარტი 1**
    1.1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების კავშირი, რათა ლოგიკურად იყოს დაკავშირებული მიზნებთან შედეგები და ყველა მიზანი არ გადიოდეს ყველა შედეგზე.
    1.2. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რადგან წარმოდგენილი რუკის მიხედვით იდენტიფიცირებული ძირითადი სასწავლო კურსები შესაბამისი დონეების მითითებით მეტწილად არ ფარავს სწავლის შედეგებს.
    1.3. რეკომენდებულია პრაქტიკული კურსები: პრაქტიკა 2, პრაქტიკა 3 და პრაქტიკა 4 მონაწილეობდეს სწავლის შედეგების შეფასებაში.
    1.4. რეკომენდებულია გასწორდეს კურსების თანმიმდევრობა, კურსებზე დაშვების წინაპირობა, რათა მაქსიმალური იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები.
    1.5. რეკომენდებულია, პროგრამაში მოიცავდეს კურსებს მულტილინგვურ სწავლებაზე, პრაქტიკის კვლევაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (სწავლის შედეგების თანახმად, პროგრამა ხელს უწყობს ენის ათვისებას მულტილუნგვური

პერსპექტივით; გეგმავს და ატარებს პრაქტიკის კვლევას) და დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობას.

1.6. გადაიხედოს სილაბუსების მიზნები და თემატიკა, ზოგიერთ სილაბუსში არ მოდის თანხვედრაში მიზნები თემატიკასთან; ასევე არის რიგი სილაბუსები, რომლის შინაარსიც არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს.

1.7. გადაიხედოს სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, განახლდეს, მოვიდეს შესაბამისობაში კურსის თემებთან.

1.8. რეკომენდებულია ისე იყოს სილაბუსები შედგენილი, რომ არ ხდებოდეს თემატიკის გადაფარვა.

1.9. რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზანი და პრაქტიკა სტუდენტისთვის გახადოს თეორიულად დასწავლილი ცალკეული თემატიკის გამთლიანების შესაძლებლობად.

- **სტანდარტი 2**

2.1. რეკომენდებულია, პრაქტიკის კომპონენტი მოიცავდეს ადრეული ასაკის ყველა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფთან პროფესიული პრაქტიკის გავლას, კერძოდ სკოლამდელი განათლების მე-4 წელს სრულად - 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე; ამასთანავე, პრაქტიკა 3, 4 და 5-ის სწავლის შედეგების იდენტურობიდან გამომდინარე, გადაიხედოს აღნიშნული პრაქტიკის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები;

2.2. რეკომენდებულია, პრაქტიკის (1,2,3,4,5) სილაბუსებში მკაფიოდ და ნათლად გაიწეროს პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები;

2.3. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სავალდებულო კურსის სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას;

2.4. რეკომენდებულია, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნას პრაქტიკის კვლევა;

2.5. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით იმ სასწავლო კურსებში, სადაც სწავლება-სწავლის მეთოდად გამოყენებულია როლური თამაში;

2.6. რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით ყველა სასწავლო კურსისთვის შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების ობიექტურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა;

2.7. რეკომენდებულია, გადაიხედოს ზოგიერთ კურსებში შეფასების მეთოდები, კერძოდ, რიგ სილაბუსში მოცემული შეფასების მეთოდი - როლური თამაში, სიტუაციური ამოცანა - არ არის შესაბამისობაში კურსის შინაარსთან და ბუნდოვანს ხდის შეფასების პროცესს.

- **სტანდარტი 3**

–

- **სტანდარტი 4**

- მომზადდეს გეგმა, რომელიც ასახავს პროგრამის განმახორციელებელი გუნდის ადრეული განათლების მიმართულებით გაძლიერებას;

- **სტანდარტი 5**

5.1. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმოს და ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებთან, რათა მოხდეს მათთვის დადგენილი ვალდებულებების სრულყოფილი იმპლემენტაცია როგორც პროგრამის შემუშავების პროცესში, ისე შეფასების მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- **სტანდარტი 1**

1.1. სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის გაზრდა

- **სტანდარტი 2**

2.1. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში - პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ველში მეტი გამჭვირვალობისთვის დაემატოს საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი - სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ქონა;

2.2. სასურველია, პრაქტიკის მენტორთა შერჩევა მოხდეს ბსუ-ს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და გარდა პრაქტიკის ობიექტებისა, ასევე უნივერსიტეტის მხრიდან პრაქტიკის ეფექტიანად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების თანამონაწილეობით;

- **სტანდარტი 3**

3.1. სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;

3.2. სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნეს გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;

3.3. სასურველია, სასწავლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფის წევრებად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოაზრება, მათი პროცესში აქტიურად ჩართვა.

სტანდარტი 4

4.1. ბიუჯეტში გაჩნდეს პუნქტი, რომელიც გულისხმობს ადრეული განათლების მიმართულებით პერსონალის მხარდაჭერისთვის საჭირო ხარჯებს;

სტანდარტი 5

5.1. სასურველია, გარე შემფასებლებს სიღრმისეული ექსპერტული დასკვნების შესამუშავებლად გაეგზავნოთ არა მარტო პროგრამის აღწერილობა, არამედ სასწავლო კურსების მოკლე

ანოტაციები მიზნებით, სწავლის შედეგებით, სასწავლო ლიტერატურით, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებით.

5.2. სასურველია, დაწესებულებამ ინსტიტუციურ დონეზე დაიწყოს საუნივერსიტეტო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მონიტორინგი, რათა გამოავლინოს და შეისწავლოს ძირითადი პრობლემები, რაც მექანიზმის გაუმართავობას და არაეფექტიანობას იწვევს. ამ მიზნით, შესაძლებელია შესწავლილ იქნას როგორც ცალკეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, ისე აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები.

5.3. სასურველია, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროგრამის მიზნების, სწავლის შეგდების, შინაარსისა და სტრუქტურის დახვეწის მიზნით სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ანალოგი პროგრამები.

6. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

7. ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2023 წლის 19 მაისის წერილით №570705 წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით; არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს 1-ელ ქვესტანდარტთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას (პროგრამის აქტუალობა, ენა, დარგის სპეციფიკა) და ცვლილებები ასახულია საბოლოო დასკვნაში და ამასთანავე, 1.4 და 1.5 ქვესტანდარტში აისახა მეტწილი შესაბამისობები; რაც შეეხება რეკომენდაციას ,,რეკომენდებულია პრაქტიკული კურსები: პრაქტიკა 2, პრაქტიკა 3 და პრაქტიკა 4 მონაწილეობდეს სწავლის შედეგების შეფასებაში'', აღნიშნულ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია შემდეგია: როგორც წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკაშია ნაჩვენები, პრაქტიკა 2, 3, 4 და 5 -ის საშუალებით ხდება სწავლის შედეგების გაღრმავება (პრაქტიკა 2) და განმტკიცება (პრაქტიკა 3, 4 და 5), ხოლო სამიზნე ნიშნულების გრაფაში მოცემულია მხოლოდ პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 5. ასევე, ექსპერტთა ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა პროგრამაში კვლევით უნარებზე მიმართული სასწავლო კურსის შეტანას, რომ სტუდენტმა შეძლოს კვლევითი, კერძოდ, პრაქტიკის კვლევის კომპეტენციების განვითარებს, რაც დარგობრივი მახასიათებლით არის განსაზღვრული. დაწესებულების მიერ არგუმენტად მოყვანილ კურსებს: 'წერითი და ზეპირი კომუნიკაცია', 'დაკვირვება, შეფასება' 'კომუნიკაცია, ენისა და მეტყველების განვითარება' , არ გაჰყავს სტუდენტი ამ კომპეტენციაზე. სწავლის შედეგების რუკაში სწავლის შედეგზე 2.3, რომელიც სწორედ პრაქტიკის კვლევის დაგეგმვას და განხორციელებას ეხება, არ გადის აღნიშნული კურსები. კურსი 'დაკვირვება, შეფასება' გადის არა პრაქტიკის კვლევის კომპეტენციებზე, არამედ ბავშვზე დაკვირვებისა და საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვების უნარებზე;

დასკვნის მე-4 და მე-5 სტანდარტების ნაწილში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, რომელიც შეეხებოდა ტექნიკური ხასიათის

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

ხარვეზებს და პერსონალს, გაზიარებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და შეტანილ იქნა შესაბამისი ცვლილებები;

8. ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-6 დონეს. პროგრამის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - „სკოლამდელი განათლების ბაკალავრი“ კვალიფიკაციის კოდია 0112.

პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ფაკულტეტის დებულებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დამსაქმებლის მოსაზრებებს. პროგრამის მიზანია, მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტების, აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური კადრი სკოლამდელ განათლებაში, რომელიც ბავშვზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს განახორციელებს. პროგრამის აქტუალობის ნაწილში ასევე წერია შემდეგი დებულება - ,,საქართველოში სკოლამდელი აღზრდა სცილდება ბავშვის მხოლოდ სკოლისათვის მომზადების არეალს და მიზნად ისახავს მის პიროვნებაზე ისეთი **ზეგავლენის მოხდენას,** რაც ბავშვის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო ჩვევებს განუვითარებს''. აღსანიშნია, რომ ამ მსჯელობაში ნათლად არ არის წარმოდგენილი ბავშვი, როგორც სუბიექტი ან კომპეტენტური პარტნიორი მის სწავლასა და განვითარებაში. ბოლო წლებში, მზარდი აღიარება ხდება ბავშვის როგორც სუბიექტის მნიშვნელობისა და მისი აქტიური როლისა საკუთარ სწავლასა და განვითარებაში, სადაც ფასდება მისი ინტერესები და გამოცდილება და წახალისებულია მისი აქტიური მონაწილეობა. მით უმეტეს, რომ პროგრამის შედეგებში ეს ნათლად არის ფორმულირებული.

პროგრამის მიზნებში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: ,,სკოლამდელი განათლების პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი კომპეტენციის მქონე სკოლამდელი განათლების ბაკალავრი'', თუმცა საერთაშორისო დარგობრივი სტანდარტების გათვალისწინება მიზნებში გაცხადებული ხედვის შესაბამისად არ დასტურდება.

პროგრამის მიზნები მიღწევადი და რეალისტურია, თუმცა ამ შემთხვევაშიც უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მიზნები ძალიან ფართო და ზოგადია. ეს ართულებს დაწესებულებისთვის კონკრეტული სწავლის შედეგების დაკავშირებას და პრაქტიკულად ყველა შედეგი გადის პროგრამის პირველ და მეორე მიზანზე. პირველი მიზანი: ,,გააჩნია პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, გაცნობიერებული აქვს პროფესიის მნიშვნელობა საზოგადოების და ქვეყნის განათლების სისტემისთვის'', მესამე მიზანი: ,,ჩამოყალიბებული აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება. პატივს სცემს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჰუმანიზმს, დემოკრატიის პრინციპებს, ზრუნავს პროფესიული განვითარების და შრომის ბაზარზე დამკვიდრებისთვის'. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები, რათა გახდეს უფრო კონკრეტული

ინტერვიუებიდან და წარმოდგენილი მტკიცებულებებით (შეხვედრების ოქმები, სამუშაო ჯგუფების დამტკიცების ბრძანება) დასტურდება, რომ პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია დაწესებულების ადმინისტრაციის, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლების ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი
  ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ბსუ-ს მისია

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნებისა და შედეგების კავშირი, რათა ლოგიკურად იყოს დაკავშირებული მიზნებთან შედეგები და ყველა მიზანი არ გადიოდეს ყველა შედეგზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ავტონომიურობის შესაძლებლობებს, რომლებსაც სტუდენტი პროგრამის დასრულებისას იძენს. პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებელს, ბაზრის კვლევისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს. ინტერვიუების შედეგად დასტურდება, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას სისტემატიურად ეწყობოდა შეხვედრები და თითოეული ეტაპის გაზიარება ხდებოდა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, თუმცა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობა არ დასტურდება; ბსუ-ს აქვს გამოცდილება სკოლამდელი განათლების მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების და შესაბამისად, სასურველი იქნებოდა აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულების ჩართულობაც; ამასთანავე, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო სწავლის შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის სადემონსტრაციოდ დაწესებულება იყენებს პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების შესაბამისობის რუკას.

აღსანიშნია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ფარავს სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნის/კვლევის ანალიზი;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის გაზრდა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- ➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შეფასების დაგეგმვას, ეფექტურ განხორციელებას, მონიტორინგს და კოორდინირებას უწევს უნივერისტეტის და ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. სწავლების შედეგების მიღწევის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი მექანიზმები:

ა) საგანმანთლებლო პროგრამაში სწავლების შედეგების რუკის მიხედვით - შეფასების სხვადასხვა მეთოდის ადეკვატურობის განსაზღვრა და რეკომენდაციების გაწევა;

ბ) ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, რომელიც იძლევა საშუალებას განისაზღვროს შეფასების მეთოდები და მისი რელევანტურობა;

გ) გამოცდების და მიმდინარე შეფასების ანალიზი, რომელიც იძლევა წარმოდგენას სწავლის შედეგების მიღწევის თაობაზე;

დ) სტუდენტთა გამოკითხვა;

ე) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა

ვ) დამსაქმებელთა გამოკითხვა

პროგრამის შედეგების გაზომვა ხდება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენით. პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტი, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ვალდებულებას იღებს სისტემურად აწარმოოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით სათანადო მონაცემების შეგროვება და ანალიზი წინასწარ განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების მიხედვით. ცალკეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შესაბამისი სემესტრის ბოლოს მიაწოდოს დეტალური სტატისტიკური მონაცემები, პროგრამის ხელმძღვანელებს. პროგრამის ხელმძღვანელი აგროვებს ასევე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის მონაცემებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთან (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ინტერვიუს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა საუნივერსიტეტო სისტემის შესაბამისად ხორციელდება როგორც ყველა, ასევე აღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება. ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად ხორციელდება ყველა ეტაპი და დაწესებულება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის იყენებს სწორედ აღნიშნული მექანიზმების მოქმედების შედეგებს, ადგენს პროგრამის სუსტ და ძლიერ მხარეებს, ხელს უწყობს სუსტი მხარეების აღმოფხვრას და გაუმჯობესებას.

რეკომენდებულია გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, სადაც ზოგიერთი კურსი არ გადის მითითებულ შედეგზე, რაც გაართულებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. მაგალითად, შედეგი 3.2 - გეგმავს და ატარებს პრაქტიკის კვლევას, ამ შედეგზე ვერცერთი მითითებული კურსი (ინგლისური ენა B2, პრაქტიკა 1, პრაქტიკა 3, პრაქტიკა 4, პრაქტიკა 5) ვერ გადის. პრაქტიკის კვლევა ეს არის კვლევის მეთოდოლოგია, რომლის დროსაც მკვლევარები და პრაქტიკოსები ერთად მუშაობენ პრობლემის იდენტიფიცირებისთვის კონკრეტულ კონტექსტში და შემდეგ ერთობლივად შეიმუშავებენ და განახორციელებენ ინტერვენციებს პრობლემის გადასაჭრელად. პროცესი, როგორც წესი, მოიცავს ციკლურ მიდგომას, რომლის დროსაც ხდება მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გამოყენებული ინტერვენციის დახვეწა სასურველი შედეგების მიღწევამდე.

ასევე, შედეგზე 2.4 არ გადის კურსი საქართველოს ისტორია. პროფესიული ეთიკის კურსი არ გადის შედეგზე 1.2 და 2.4; 2.3 შედეგზე - მულტილინგვურ განათლებაზე არ გადის არცერთი კურსი. ასევე გადასახედია საბაკალავრო ნაშრომის შედეგები. და რამდენად აღრმავებს და ამტკიცებს ცოდნას და უნარებს ზოგიერთი კურსი (მაგალითად, კურსი ფილოსოფიის შესავალი რამდენად განამტკიცებს 3.3.

შედეგს). ადრეული განვითარების თავისებურებების კურსი არ გადის შედეგებზე 1.2. და 2.2. გადასახედია შეფასების კომპონენტიც, კერძოდ როლური თამაში, რამდენად და როგორ გაზომავს მიღებულ შედეგს.

ასევე, სწავლის შედეგების შეფასებაში არ არის მოცემული პრაქტიკა 2,3,4 და არ მონაწილეობს სწავლის შედეგების შეფასებაში. დარგობრივ მახასიათებელში პრაქტიკული სწავლების ასეთი მოცემულობით წარმოდგენა (40 კრედიტი) იმით არის განპირობებული, რომ სტუდენტს პრაქტიკის გზით მიეცეს შესაძლებლობა თეორიული ცოდნის გამთლიანების და გაღრმავების, მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკის კურსებით ხდებოდეს სტუდენტების კომპეტენციების შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი\
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვი-თარების წესი“ს დამტკიცების შესახებ;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების რუკა, რადგან წარმოდგენილი რუკის მიხედვით იდენტიფიცირებული ძირითადი სასწავლო კურსები შესაბამისი დონეების მითითებით მეტწილად არ ფარავს სწავლის შედეგებს.
- რეკომენდებულია პრაქტიკული კურსები: პრაქტიკა 2, პრაქტიკა 3 და პრაქტიკა 4 მონაწილეობდეს სწავლის შედეგების შეფასებაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☒	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი ასევე პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების სისტემის შესაბამისად. პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორის სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტს ეთმობა 170 კრედიტი; 10 კრედიტი სწავლის სფეროს არჩევით კურსებს, 60 კრედიტი კი დამატებით საგანმანათლებლო პროგრამას, ან თავისუფალ კომპონენტს. სავალდებულო კომპონენტი მოიცავს პრაქტიკას სკოლამდელ დაწესებულებაში 40 კრედიტის მოცულობით და საბაკალავრო ნაშრომს - 10 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები რიგ შემთხვევაში ნაწილობრივ ვერ უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ეს საკითხები სასწავლო კურსების შინაარსთან მიმართებით დეტალურად არის განხილული 1.5 სტანდარტში - სასწავლო კურსები. რაც შეეხება პროგრამის სტრუქტურას, მის ლოგიკურობასა და თანმიმდევრულობას, ექსპერტთა ჯგუფს აქვს შემდეგი მოსაზრებები: მაგალითად პროგრამაში არ არის კურსები, რომელიც გაიყვანს სტუდენტს შემდეგ შედეგებზე: პრაქტიკის კვლევა, მულტილინგვური მოდელები ადრეულ განათლებაში, რაც დარგობრივი მახასიათებლით არის რეკომენდებული და აღნიშნულ პროგრამაშიც არის მოცემული როგორც სასწავლო შედეგი.

პროგრამის სტრუქტურა ნაწილობრივ გაუმართავია, არ არის თანმიმდევრული და ლოგიკურად დალაგებული, ზოგიერთ კურსში დაშვების წინაპირობა არ არის ადეკვატური. მაგალითად 'სკოლამდელი ინკლუზიური განათლება', რომელიც გარკვეულ ცოდნას და კომპეტენციას საჭიროებს მეორე სემესტრში ისწავლება და მას არა აქვს წინაპირობა, ხოლო ეს კურსი წინაპირობაა კურსის - 'დაკვირვება შეფასება', არადა დაკვირვება შეფასების კურსზე მიღებული ცოდნა უფრო დაეხმარება სტუდენტებს ინკლუზიური განათლების საკითხების ათვისებაში. კურსების უმეტესობის წინაპირობაა 'ადრეული განათლების კურიკულუმი'. ეს კურსი ეხება კურიკულუმის მოდელებს და ტიპებს, განსხვავებით იმ კურსებისა ('სააღმზრდელო გარემო და პროცესი', 'ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა, პრინციპები, თამაში'), რომელიც ზოგად მეთოდოლოგიურ საკითხებს ფარავს. ექპსერტთა აზრით, ეს კურსები ('სააღმზრდელო გარემო და პროცესი', 'ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა, პრინციპები, თამაში'), მასში მოცემული თემატიკით, უფრო მეტად წარმოადგენს სხვა მეთოდოლოგიური კურსების - მაგ. 'სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება', 'რაოდენობრივი

წიგნიერება', - წინაპირობას. პროგრამის ასე აწყობა სტუდენტებს დაეხმარება თემატური მიმართულების კურსებით მიღებული ცოდნა ძირითად მეთოდოლოგიურ ცოდნასა და პრინციპებზე (ბავშვზე ცენტრირებული სწავლება, თამაშის მნიშვნელობა სწავლასა და განვითარებაში) დააშენონ. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ კურსებში - 'სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება', 'რაოდენობრივი წიგნიერება' - საუბარია ძირითადად სტუდენტებისთვის ამ მიმართულებით ცოდნის გაღრმავებაზე და არა როგორ შეუწყონ ხელი ბავშვებში რაოდენობრივი წარმოდგენების განვითარებას, სახვითი და პერფორმანსულ ხელოვნებასთან ბავშვების ურთიერთობას და შემოქმედებითობის ხელშეწყობას ბავშვზე ორიენტირებული, თანამედროვე მიდგომებით. შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით პროგრამა გარკვეულწილად არ ითვალისწინებს სფეროს თანამედროვე მიღწევებსა და კვლევის შედეგებს. მნიშვნელოვანია, რომ მეთოდოლოგიის კურსებში ჩანდეს ის თემატიკა, რაც პროგრამის მიზანშია მოცემული - კერძოდ ისეთი კომპეტენციების განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას და მოიაზრებს ბავშვს, როგორც ცენტრალურ სუბიექტს თავის სწავლისა და განვითარების პროცესში. მაგალითად, საშემსრულებლო და პერფორმანსული ხელოვნების კურსი შეიძლება იყოს არჩევით კურსებში, ხოლო ის, კურსი რომელიც სავალდებულოა უნდა ფარავდეს მეთოდოლოგიურ საკითხებს ხელოვნების გზით ბავშვების ჰოლისტურ განვითარებასა და შემოქმედებითობის ხელშეწყობაზე, იგივე შეიძლება ითქვას რაოდენობრივ წიგნიერებაზე.

რეკომენდებულია, გადაიხედოს კურსების თანმიმდევრობა, კურსებზე დაშვების წინაპირობა, რათა მაქსიმალური იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები.

პროგრამის შემუშავება და განვითარება თანამშრომლობითი პროცესი იყო და მასში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვი-თარების წესი"ს დამტკიცების შესახებ;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუ

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გასწორდეს კურსების თანმიმდევრობა, კურსებზე დაშვების წინაპირობა, რათა მაქსიმალური იყოს კურსებს შორის ლოგიკური კავშირები.
- რეკომენდებულია, პროგრამაში მოიცავდეს კურსებს მულტილინგვურ სწავლებაზე, პრაქტიკის კვლევაზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას (სწავლის შედეგების თანახმად, პროგრამა ხელს უწყობს ენის ათვისებას მულტილუნგვური პერსპექტივით; გეგმავს და ატარებს პრაქტიკის კვლევას) და დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და შინაარსი სრულად არ არის თანხვედრაში პროგრამის შედეგებთან. ძირითადი სასწავლო კურსების უმეტესობა არ არის ლოგიკურად დაკავშირებული ერთმანეთთან, არ არის შინაარსობრივად თანმიმდევრული. ასევე, ცალკეული კურსების შინაარსი არ არის შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან და მეთოდებთან, რომლითაც დაგეგმილია სასწავლო კურსის ფარგლებში კონკრეტული კომპეტენციების გამომუშავება და შეფასება (იხილეთ ქვემოთ კურსების დეტალური განხილვა). იგივე ეხება ლიტერატურასაც, ისეთი მასალებია შერჩეული, რაც ძირითად შემთხვევაში არ არის კავშირში სასწავლო კურსის შინაარსთან, ან არ შეესაბამება ადრეული განათლების სპეციფიკას, ან ძველია.

რაც შეეხება **საბაკალავრო ნაშრომს**, როგორც პროგრამის სტრუქტურის განხილვისას აღინიშნა,, სტუდენტებისთვის არ არის შეთავაზებული საბაკალავრო საფეხურის შესაბამისი კვლევითი კომპეტენციების განმავითარებელი სასწავლო კურსი/ები. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში მოცემულ, კვირებად გაწერილი სამუშაოს თანახმად, ხელმძღვანელი მხოლოდ კონსულტაციას უწევს სტუდენტს, რაც არ იქნება საკმარისი საბაკალავრო ნაშრომის ეფექტურად განხორციელებისთვის თუ

სტუდენტები არ გაივლიან კვლევით კურსებს, რაც იქნება წინაპირობა საბაკალავრო ნაშრომის. მითუმეტეს პროგრამის შედეგში მოცემულია პრაქტიკის კვლევის კომპეტენცია, რაც ასევე შესაბამისობაშია დარგობრივ მახასიათებელთან. რეკომენდებულია, პროგრამაში იყოს კურსი/ები, რაც ამ შედეგზე გაიყვანს სტუდენტს. ასევე დამაბნეველია ამ კომპონენტით (საბაკალავრო ნაშრომით) თითქმის ყველა შედეგზე გასვლა 'განმტკიცებით'.

უფრო დეტალურად პრაქტიკის კურსებზე:

პრაქტიკა 1 - სტუდენტი ძირითადად ეცნობა სხვადასხვა პოზიციაზე მომუშავე ბაღის თანამშრომლების უფლება - მოვალეობებს. კურსის მიზანში წერია, რომ კურსის ფარგლებში სტუდენტი გამოიმუშავებს პრაქტიკული მუშაობის უნარებს. ასევე, სწავლების შედეგების რუკაში მითითებულია, რომ ეს კურსი გადის შედეგებზე: 1.2, 1.3, 2.4, და 3.2. ექსპერტთა აზრით ეს საკითხებიც (კურსის შინაარსი) გადასახედია სამუშაო ჯგუფის მიერ.

პრაქტიკა 2, 3, 4, 5 სილაბუსებში მოცემული თემატიკა უფრო ლოგიკურადაა დასალაგებელი. არ ჩანს კავშირები კვირის თემებს შორის და იზოლირებული თემატიკას მოიცავს; მაგალითად, იწყება ბავშვზე დაკვირვებით, შემდეგ გრძელდება გეგმის შესწავლით, მერე ისევ შემოდის ბავშვზე დაკვირვება, ამას მოსდევს აღმზრდელის აქტივობაზე დაკვირვება, ბოლოს სტუდენტი თავად ატარებს აქტივობებს. პრაქტიკის უმეტეს ნაწილში თემატიკის ასე დაყოფა (ჯერ დაკვირვება ბავშვზე, ცალკე გეგმის შესწავლა და ა.შ.) არ იძლევა ცოდნის გამთლიანების საშუალებას. ისევ ბუნდოვანი რჩება აღმზრდელის მიერ დაგეგმილი თემის შემაჯამებელი აქტივობის სცენარი, მიუხედავად ამ საკითხზე გასაუბრებისა. აღსანიშნია ისიც, რომ პრაქტიკის კომპონენტში ძირითადად სტუდენტის მიერ დაგეგმილ აქტივობებზეა ყურადღება გამახვილებული, და არა საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტების სრულ ჩართულობასა და მონაწილეობაზე. საგანმანათლებლო პროცესი არ გულისხმობს მხოლოდ უფროსის მიერ ინიცირებულ აქტივობებს მცირე და დიდ ჯგუფებში. რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზანი და პრაქტიკა სტუდენტისთვის გახადოს თეორიულად დასწავლილი ცალკეული თემატიკის გამთლიანების შესაძლებლობად.

კურსებში - 'ადრეული განვითარების თეორიები' და 'ბავშვის განვითარების ფსიქოლოგია ადრეულ ასაკში' - მიზნების გადაფარვაა (განვითარების თეორიები და ბავშვის განვითარება). ბავშვის განვითარების ფსიქოლოგიაში ლიტერატურა არ მოიცავს უახლეს რესურსებს. დამატებით ლიტერატურაში მოცემულია ძველი სტანდარტი, რომელიც აღარ გამოიყენება.

აქვე აღსანიშნია პროფესიული ეთიკის კურსიც, რომლის მიზანიც გარკვეულწილად ფარავს განვითარების კურსებს; პროფესიული ეთიკის მიზანში მოცემულია შემდეგი მიზნები - ბავშვის ფორმირების თავისებურებების შესწავლა, ქცევითი და აზროვნების თავისებურებები.; ბუნდოვანია რა კავშირი აქვს ამ მიზნებს პროფესიულ ეთიკასთან, ამ კურსში მოცემულ თემებს: ინტელექტის ტიპები და მისი განვითარება, ენობრივი კონსტრუქციები და მათი გამოყენება სწავლების პროცესში და ა.შ.. გადასახედია ასევე სწავლის შედეგებიც. ამ კურსის ლიტერატურის უმეტესობა ეხება სასკოლო განათლებას.

კურსი - 'სააღმზრდელო გარემო და პროცესი სკოლამდელ დაწესებულებაში', ეს კურსიც არ გაიყვანს სტუდენტს მითითებულ ორ სწავლის შედეგზე - 1.3. და 2.4, რომელიც ეხება ოჯახების ჩართულობას და მათთან ურთიერთობას. სილაბუსში ეს თემატიკა საერთოდ არ არის მოცემული.

თემატიკის გადაფარვაა სილაბუსებში: 'სკოლამდელი ინკლუზიური განათლება', 'სააღმზრდელო გარემო და პროცესი სკოლამდელ დაწესებულებაში'. (მაგ. კვირის თემები: სოციალური და ემოციური მხარდაჭრი გარემო; კომუნიკაციის წამახალისებელი გარემო; მოტორული და სენსორული განვითარების მხარდამჭერი გარემო; უნივერსალური დიზაინი; ფიზიკური და დროითი გარემო) ძირითადი ლიტერატურაც ერთია ამ სილაბუსებში. ინკლუზიური განათლების სილაბუსში მოცემულ დამხმარე ლიტერატურის რესურსები ეხება სასკოლო განათლებას და სკოლის სპეციფიკას.

ერთი და იგივე სახელმძღვანელოებია გამოყენებული ასევე სხვა სილაბუსებშიც, ასეთი სახელმძღვანელოა მაგალითად ლორა ბერკის ბავშვის განვითარება.

ასევე შეუსაბამოა სილაბუსის - 'კომუნიკაცია, ენა, მეტყველების განვითარება' - ძირითად ლიტერატურაში მითითებული სკოლისათვის მზაობის კურიკულუმი - თ.ა.მ.ა.შ.ი, რომელიც არ არის სილაბუსის შინაარსთან კავშირში. ინტერვიუს დროს ვერ მოხერხდა სილაბუსის ავტორის მიერ ამის დასაბუთება.

კურსში - 'სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება' - საერთოდ არ არის საუბარი პერფორმანსულ ხელოვნებაზე. ამ სილაბუსში მოცემული თემები და საკითხებიც არ გაიყვანს სტუდენტს მითითებულ შედეგებზე 3.1. შეფასების მეთოდში არის წერა და დისკუსია, ბუნდოვანია რამდენად გაზომავს ეს მეთოდები მიღწეულ შედეგებს, რომელიც პრაქტიკულ უნარების შეფასებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ისიც ეს პრაქტიკული უნარი არ უნდა ეხებოდეს ხელოვნების ტექნიკების ცოდნას, არამედ ბავშვებში შემოქმედებითობის ხელშეწყობას და ხელოვნებასთან დაკავშირებული აქტივობების ინიცირებას. ძირითად ლიტერატურაში მითითებულია მსოფლიო ხელოვნება, ენციკლოპედია. და არ არის ლიტერატურა, რომელიც ეხება ბავშვებში შემოქმედებითობის ხელშეწყობას, ადრეულ განათლებაში ხელოვნებასთან ბავშვის ურთიერთობის მნიშვნელობას, ბავშვის ინტერესების მიყოლას. იგივე ეხება სილაბუსს 'რაოდენობრივი წიგნიერება სკოლამდელ განათლებაში'. კურსის შინაარსი არ ეხება ადრულ ასაკში ბავშვებში მათემატიკური ცნებების განვითარების ხელშეწყობას ჰოლისტური განვითარების პრინციპების და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენებით. კურსის ერთ-ერთ მიზანში წერია - 'გააცნოს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის მათემატიკური უნარების ჩამოყალიბების მეთოდები და ტექნიკა' - თუმცა თემატიკა ამ საკითხებს არ ფარავს. ისევე როგორც ხელოვნების სილაბუსში, ძირითადი ეხება სტუდენტებისთვის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა-უნარების განვითარებას და არა იმ სტრატეგიებსა და მიდგომებს, რაც დაეხმარება მათ ბავშვებთან მუშაობაში. ლიტერატურაც აქაც სპეციფიურად მათემატიკას ეხება და არა ადრეულ ასაკში მათემატიკური წარმოდგენების განვითრების ხელშეწყობას. მსგავსი პრობლემებია არჩევით კურსებშიც მაგალითად სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება. კურსის მიზანია - გამოუმუშავოს სტუ-დენტს გარემოს შესწავლის, დაცვისა და შენა-რჩუნების უნარ-ჩვევები და არ არის კავშირში სკოლამდელ

განათლებასთან. მხოლოდ ლიტერატურაა სკოლამდელი განთლების (სასკოლო მზაობის წიგნებია ჩამონათვალში), თუმცა ეს ლიტერატურა არ ეხება გარემოს დაცვით საკითხებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (სწავლის შედეგების რუკა)
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სასწავლო და საკითხავი მასალა.
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სილაბუსების მიზნები და თემატიკა, ზოგიერთ სილაბუსში არ მოდის თანხვედრაში მიზნები თემატიკასთან; ასევე არის რიგი სილაბუსები, რომლის შინაარსიც არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და შედეგებს.
- გადაიხედოს სასწავლო რესურსები და ლიტერატურა, განახლდეს, მოვიდეს შესაბამისობაში კურსის თემებთან.
- რეკომენდებულია ისე იყოს სილაბუსები შედგენილი, რომ არ ხდებოდეს თემატიკის გადაფარვა.
- რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინოს პროგრამის მიზანი და პრაქტიკა სტუდენტისთვის გახადოს თეორიულად დასწავლილი ცალკეული თემატიკის გამთლიანების შესაძლებლობად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ს მიერ განსაზღვრულია ,,სკოლამდელი განათლების'' საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და ის შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან; პროგრამაზე მიღების წინაპირობები გაწერილია როგორც პროგრამაში, ასევე ,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში''; კერძოდ, საბაკალავრო პროგრამის თანახმად, *,,საქართველოს მოქალაქეებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდები და პროგრამაზე დასაშვებად უნდა დაძლიონ ეროვნულ გამოცდებზე კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, მათემატიკა/ისტორია) დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი'', ხოლო „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“* დაზუსტებულია, რომ საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი გარდა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა, არის სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ქონა, რაც უმჯობესი იქნებოდა სრულყოფილად ასახულიყო სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამაში, აღწერილობის შესაბამის ველში - ,,პროგრამაზე დაშვების წინაპირობა''; აბიტურიენტს ერთიანი ეროვნული გამოცდებზე სავალდებულო უცხო ენიდან შეუძლია ჩააბაროს ნებისმიერი უცხო ენა (გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული), მაგრამ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სავალდებულო კურსად მხოლოდ ინგლისური ენის სწავლება (ჯამში 20 ECTS) და ამასთანავე, პროგრამა იძლება საშუალებას, რომ სტუდენტისთვის ენის ცოდნის დონის განსაზღვრის შემდგომ სწავლა დაიწყოს შესაბამისი დონიდან; ამასთანავე, აღსანიშნია, რომ სასწავლო კურსის ,,ინტერკულტურული განათლების საფუძვლები'' სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში წარმოდგენილია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, თუმცა ინტერვიუს შემდგომ, დამატებით წარმოდგენილ იქნა შესაბამისი რიდერი ქართლ ენაზე;

აღსანიშნია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები ითვალისწინებს შიდა ან/და გარე მობილობას და ასევე, დასაშვებია მიღება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტიც, რომ უსდ პროგრამაზე მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს ვებგვერდის საშუალებით (გზამკვლევი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი), ასევე საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთათვის (ბაღის მასწავლებლები, სკოლის მოსწავლეები და ა.შ.) პროგრამის მოთხოვნების გაცნობა ხდება უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ღია კარის დღეების ფარგლებშიც; ბსუ-ს ვებგვერდზე სკოლამდელი განათლების პროგრამა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში ჯერ არ არის დამატებული, თუმცა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის აბიტურიენტთა ცნობარში 2023 აღნიშნულ პროგრამაზე მიღება გამოცხადებულია შესაბამისი წინაპირობების მითითებით;

ბსუ-ს შემუშავებული აქვს ,,სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი'', რომელიც ითვალისწინებს ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, პროგრამის მოთხოვნის დინამიკას, სასწავლო პროცესის ანალიზს, დასაქმების მაჩვენებლებს; დაწესებულება პროგრამაზე სტუდენტთა მიღებას გეგმავს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად; საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტი - ყოველწლიურად 50 სტუდენტის მიღება, თუმცა ინტერვიუს შედეგად დაზუსტდა, რომ არსებული რესურსების გათვალისწინებით, მიმდინარე წელს დაგეგმილია 30 სტუდენტის მიღება (ცნობარი აბიტურიენტებისთვის 2023) და ყოველ მომდევნო წელს კი - 50-ის, რაც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (დაშვების წინაპირობა);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ბსუ-ს ვებგვერდი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- რიდერი ,,ინტერკულტურული განათლების საფუძვლები''
- ცნობარი აბიტურიენტებისთვის 2023
- სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაში - პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ველში მეტი გამჭვირვალობისთვის დაემატოს საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველი - სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის ქონა;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ს პროგრამა საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას; კერძოდ, ,,სკოლამდელი განათლების დარგობრივ მახასიათებლებთან'' შესაბამისად, ბსუ-ს სკოლამდელი განათლების პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი შეადგენს 40 ECTS კრედიტს (პრაქტიკა 1 – 5 ECTS, პრაქტიკა 2 – 5 ECTS, პრაქტიკა 3 – 10 ECTS, პრაქტიკა 4 – 10 ECTS, პრაქტიკა 5 – 10 ECTS); პრაქტიკა 1 და პრაქტიკა 2-ის ფარგლებში სტუდენტი ძირითადად აწარმოებს დაკვირვებას, აკეთებს ჩანაწერებს და რეფლექსიას, ხოლო პრაქტიკა 3-5-ის ფარგლებში კი სტუდენტი თავად წარმართავს საგანმანათლებლო პროცესს - გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში; აღსანიშნია, რომ პრაქტიკის კომპონენტის სრულდება პრაქტიკა 5-ით, რომლის მიზანია სტუდენტებმა ,,შეისწავლონ და იმუშაონ 5-დან 6 წლამდე ასაკის სხვადასხვა შესაძლებლობების ბავშვებთან'', თუმცა სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების თანახმად, ,,სკოლამდელი განათლება მოიცავს ადრეული ასაკის (0-დან 8 წლამდე) ბავშვის განათლებისა და განვითარების შესახებ მეცნიერულ ცოდნასა და პროფესიულ პრაქტიკას''; შესაბამისად, მნიშვნელოვანია პრაქტიკის კომპონენტი მოიცავდეს სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე პერიოდსაც; ამასთანავე, მნიშვნელოვანია, გადაიხედოს პრაქტიკა 3, 4 და 5-ის სწავლის შედეგები, ვინაიდან იდენტურია ერთმანეთის;

პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსები მოიცავს შესასრულებელი სამუშაოს აღწერას, რომელის პირველი კვირის აქტივობებია სტუდენტის პრაქტიკის წინა კონფერენციაში მონაწილეობა, ასაკობრივი ჯგუფებში გადანაწილება, აღმზრდელ-პედაგოგისა და ჯგუფების გაცნობას და დასაკვირვებელი აღსაზრდელის არჩევა; ბოლო კვირა კი მოიცავს პრაქტიკის შემაჯამებელ კონფერენციაში მონაწილეობასა და პორტფოლიოს პრეზენტაციას. სილაბუსში არ ჩანს მკაფიოდ და ნათლად თუ ვის მიერ მოხდება მაგალითად პორტფოლიოს შეფასება, რა ფუნქცია-მოვალეობები აქვს არა მხოლოდ პრაქტიკის მენტორს, არამედ პრაქტიკაში ჩართულ ყველა შესაბამის მხარეს, კონკრეტულად როგორ განხორციელდება პრაქტიკის მონიტორინგი და ა.შ. ასევე, პრაქტიკა 1 და 2 სილაბუსებში მოცემულია პორტფოლიოს დაცვაზე დაშვების ზოგადი წინაპირობა: ,,სტუდენტი ვალდებულია დაესწროს პრაქტიკის მიმდინარეობას''; დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ პრაქტიკის ორგანიზებას ახდენს ბსუ-ს წარმომადგენელი და ასევე, პრაქტიკას დაწესებულებიდან ჰყავს პრაქტიკის ხელმძღვანელი, პრაქტიკის განხორციელების მონიტორინგს ახდენენ გამოკითხვების საფუძველზე, ხოლო პრაქტიკის ადგილზე სტუდენტს ჰყავს მენტორი - აღმზრდელ-პედაგოგი, რომლის უშუალო მენტორობითაც გადის სტუდენტი პრაქტიკას. დაწესებულებამ ასევე დამატებით წარმოადგინა ,,სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სტუდენტური პრაქტიკის გზამკვლევი'', რომელიც შემუშავდა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF მხარდაჭერით და რომელსაც საფუძვლად უდევს ბათუმის საზაფხულო სკოლის ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად შექმნილი გზამკვლევის სტრუქტურა. დაწესებულება გეგმავს იხელმძღვანელოს არსებული ზემოთ აღნიშნული გზამკვლევით, თუმცა მნიშვნელოვანია დაწესებულებას სილაბუსში ან შესაბამის

დოკუმენტში უფრო მკაფიოდ და დეტალურად ჰქონდეს გაწერილი პრაქტიკის დაგეგმვისა და ორგანიზების/განხორციელების ყველა ეტაპი;

ინტერვიუებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პრაქტიკის გავლის პერიოდში უნივერსიტეტიდან სტუდენტს ხელმძღვანელობს სფეროს კვალიფიციური პირები; ამასთანავე, დადასტურდა, რომ დაწესებულება პრაქტიკის კომპონენტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ზრუნავს მენტორთა გადამზადებაზე - განახორციელა ბაღის დაახლოებით 75 აღმზრდელ-პედაგოგის გადამზადება და გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს (ტრენინგი, კონფერენცია და .ა.შ.) მათი პროფესიული განვითარებისთვის, რაც დასტურდება შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგებითა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებით; ამასთანავე, თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, პრაქტიკის ობიექტების შერჩევის კრიტერიუმები იყო ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების კუთხით მზაობა პრაქტიკაზე სტუდენტების მისაღებად, თუმცა როგორც დაწესებულების, ასევე დამსაქმებლების მხრიდან გაესვა ხაზი მენტორთა გადამზადების საჭიროებებს; პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, სტუდენტისთვის მენტორის შერჩევას უზრუნველყოფს ბაღი/გაერთიანება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მენტორის შერჩევის პროცესში ჩართული იყოს უნივერსიტეტის წარმომადგენელიც და ამასთანავე, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე მოხდეს მათი შერჩევა;

პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების/მემორანდუმების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, პრაქტიკის მიზანს, შედეგსა და ხანგრძლივობას; ამ ეტაპზე ბსუ-ს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ქ. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან და 7 საბავშვო ბაღთან;

პროგრამა ვინაიდან ახალია, ჩატარდა ინტერვიუ ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მათ ხშირად სთავაზობენ სხვადასხვა კონფერენციაში, კვლევით აქტივობებში ჩართვას, ამასთანავე დაადასტურეს კონფერენციებში ჩართულობა და აღნიშნეს, რომ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობადაა განსაზღვრული კონფერენციაში მონაწილეობა;

ამასთანავე, აღსანიშნია, რომ სკოლამდელი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებულია ისეთი მეთოდები, როგორიცაა პროექტი, სიტუაციური ამოცანა/ქეისი/შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები, რეფლექსია, პორტფოლიო და ა.შ., რაც ხელს უწყობს სტუდენტებისთვის სამეცნიერო-კვლევით და ტრანსფერულ უნარების განვითარებას;

პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მე-8 სემესტრში შესრულებას, 10 კრედიტის ფარგლებში; საბაკალავრო ნაშრომის შესრულება ითვალისწინებს კვლევით უნარებს და მისი მიზანია: *,, მეცნიერული ცოდნის საფუძველზე, ინტერესებისა და თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, გამოუმუშაოს ადრეული და სკოლამდელი განათლების სფეროში პრობლემის იდენტიფიკაციის, შეფასების, დასკვნების ჩამოყალიბების, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით გაფორმებისა და წარდგენის უნარი";* სილაბუსში წარმოდგენილია ნაშრომის შესრულების გეგმა, შეფასები მეთოდები და კრიტერიუმები, ნაშრომის გაფორმების ტექნიკური მონაცემები; აღსანიშნია, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესასრულებლად პროგრამაში წარმოდგენილია ,,წერითი და ზეპირი კომუნიკაციები'', რომლის ფარგლებშიც სტუდენტები ეცნობიან სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურას, თუმცა პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთ სასწავლო კურსს, პრაქტიკის კვლევას, რომელიც საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, სტუდენტს საშუალებას მისცემდა კვლევის დაგეგმვა-განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სტუდენტური პრაქტიკის გზამკვლევის პროექტი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პრაქტიკის კომპონენტი მოიცავდეს ადრეული ასაკის ყველა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფთან პროფესიული პრაქტიკის გავლას, კერძოდ სკოლამდელი განათლების მე-4 წელს სრულად - 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე; ამასთანავე, პრაქტიკა 3, 4 და 5-ის სწავლის შედეგების იდენტურობიდან გამომდინარე, გადაიხედოს აღნიშნული პრაქტიკის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია, პრაქტიკის (1,2,3,4,5) სილაბუსებში მკაფიოდ და ნათლად გაიწეროს პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები;
- რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებულ იქნას ისეთი სავალდებულო კურსის სწავლება, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს პედაგოგიური კვლევის მეთოდებისა და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა-განხორციელებისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის მიერ პროგრამით განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პრაქტიკის მენტორთა შერჩევა მოხდეს ბსუ-ს მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და გარდა პრაქტიკის ობიექტებისა, ასევე უნივერსიტეტის მხრიდან პრაქტიკის ეფექტიანად განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების თანამონაწილეობით;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ს სკოლამდელი განათლების პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსებში სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნის, უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფერხურის შესაბამისად გამოიყენება ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა: ლექცია, სემინარი, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული საქმიანობა, პრეზენტაცია/დემონისტრირება, შემთხვევის (ქეისების) შესწავლა, როლური თამაში/სიმულაცია, ინდივიდუალური (დამოუკიდებელი) მუშაობა, პროფესიული პრაქტიკა,პროექტზე დაფუძნებული სამუშაო, ლაბორატორიული, ქოუჩინგი; აღსანიშნია, რომ სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებელი სწავლება-სწავლის მეთოდებიდან ასევე მოიცავს ,,პრაქტიკის კვლევას'', რომლის გამოყენებაც არ დასტურდება ბსუ-ს პროგრამაში;
აღსანიშნია, რომ ძირითად შემთხვევაში სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილია ისეთი სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორიცაა როლური თამაში, სიტუაციური ამოცანა/ქეისი, პრეზენტაცია; ამასთანავე, მაგალითად, მხოლოდ ,,პოზიტიური მშობლობა'' სასწავლო კურსში განსაზღვრულია, თუ რას მოიცავს როლური თამაში (მასწავლებლის მშობელთან შეხვედრის მოდელირება), ხოლო სხვა რიგ შემთხვევაში (მაგალითად, ადრეული განათლების ისტორია, აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებთან მუშაობა სკოლამდელ საფეხურზე, ადრეული განათლების კურიკულუმი, ტრანზიცია სკოლამდელ განათლებაში, სკოლამდელი ინკლუზიური განათლება) არ ჩანს კურსის შინაარსის შესაბამისად, რაზე ხორციელდება როლური თამაში/სიმულაცია; პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან ინტერვიუს დროს, ,,სკოლამდელი ინკლუზიური განათლების'' სილაბუსის ავტორის განმარტებით როლური თამაში მოიცავს სტუდენტის მიერ დაუნის სინდრომის მქონე პირის იმიტაციას, ხოლო ,,სკოლამდელი განათლების სამართლებრივი საფუძვლების'' შემთხვევაში სილაბუსში როლური თამაში არ არის სწავლების მეთოდთა ჩამონათვალში, თუმცა სილაბუსის მიხედვით ხდება მისი შეფასება და კურსის ავტორის განმარტებით, ფასდება არა როლური თამაში, არამედ სიტუაციების ანალიზი;

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ისინი სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია სტუდენტთა კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე (გონებრივი იერიში, შემთხვევის ანალიზი და .ა.შ) და ამასთანავე უზრუნველყოფს მათს ინტერაქციას სასწავლო პროცესში;

ბსუ-ს დამტკიცებული აქვს სსსმ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის მექანიზმები, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესში სტუდენტთა შეუფერხებელი ჩართულობის მიზნით სასწავლო პროცესის დაგეგმვას მათი შესაძლებლობების, საჭიროებებისა და აკადემიური დონის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (სწავლება-სწავლის მეთოდები);
- ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი

- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სკოლამდელი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდებიდან გამოყენებულ იქნას პრაქტიკის კვლევა;
- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაში მოვიდეს კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან, განსაკუთრებით იმ სასწავლო კურსებში, სადაც სწავლება-სწავლის მეთოდად გამოყენებულია როლური თამაში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☐	☒	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებისა და ბსუ-ს ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის'' თანახმად, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის; ამასთანავე საგანმანათლებლო პროგრამაში, სილაბუსებსა თუ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მოცემული შეფასების სისტემა შესაბამისობაშია მოქმედ კანონდებლობასთან, თუმცა აღსანიშნია, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებული ,,საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი'' არ შეიცავს (მუხლი 5, პუნქტი ,,კ'') საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 105/ნ ბრძანებით (29.12.2021) დამტკიცებულ იმ ცვლილებებს, რომლებიც შეფასების სისტემასთან დაკავშირებით განხორციელდა;

ბსუ-ში შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობდეს; სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით შე-ფასებას - 40 ქულა. შუალედური შეფასება

მოიცავს: შუალედური გამოცდის შეფასებას (მაქსი-მუმ 20 ქულა) და მიმდინარე შეფასებებს - მაქსიმუმ 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვრები.

სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები უმრავლეს შემთხვევაში არის ვალიდური, კერძოდ შერჩეულია სტუდენტის ცოდნის შეფასების ადეკვატური შეფასების ფორმები და მეთოდები; თუმცა რიგ შემთხვევებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგებითაც იკვეთება, რომ ჭირს ისეთი მეთოდის რელევანტურობის დასაბუთება, როგორიცაა როლური თამაში, სიტუაციის ანალიზი (მაგალითად, სკოლამდელი ინკლუზიური განათლება, სკოლამდელი განათლების სამართლებრივი საფუძვლების, სააღმზრდელო გარემო და პროცესი სკოლამდელ დაწესებულებაში, …); ასევე, სილაბუსში ,,კომუნიკაცია, ენა, მეტყველების განვითარება'' შეფასების მეთოდია სიტუაციური ამოცანა, რაც ბუნდოვანს ხდის შეფასების პროცესს.

სასწავლო კურსებში უმრავლეს შემთხვევაში ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც არც კრიტერიუმები არ არის წარმოდგენილი (მაგალითად, სილაბუსში ,,საქართველოს ისტორია'' არ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა);

ამასთანავე, სილაბუსებში უმრავლეს შემთხვევაში არ არის ან ნაწილობრივ არის წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები (მაგალითად, სასწავლო კურსებში ,,ბავშვის განვითარების ფსიქოლოგია'', ,,ადრეული განვითარების თავისებურებები'', ,,სააღმზრდელო გარემო და პროცესი სკოლამდელ დაწესებულებაში'', ,,სკოლამდელი ინკლუზიური განათლება'', ,,კომუნიკაცია, ენისა და მეტყველების განვითარება, ადრეული წიგნიერება'', ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები'', ,,ინგლისური ენა'', ,,ფილოსოფიის შესავალი'', ,,ბავშვთა უფლებები, ადვოკატირება'', ,,ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის პრინციპები, თამაში'', ,,ოჯახთან და თემთან თანამშრომლობა'', ,,ბავშვის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება'', ,,ტრანზიცია სკოლამდელ განათლებაში'' და ა.შ.)

ასევე, კრიტერიუმები და შეფასების რუბრიკა უფრო მკაფიოდ, შეფასების მეთოდის შესაბამისად არის გასწერი (მაგალითად, სილაბუსში ,,ფილოსოფიის შესავალი'' ქეისისა და როლური თამაშის შეფასების სქემა, სილაბუსი ,,სახვითი და პერფორმანსული ხელოვნება'');

პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის დაცვას, რომელიც ფასდება 100-ქულიანი სისტემით და კერძოდ, მოიცავს რეცენზენტის შეფასებას - მაქსიმუმ 30 ქულას და საჯარო დაცვაზე მიღებულ შეფასებას - მაქსიმუმ 40 ქულას, ხელმძღვანელის შეფასებას - მაქსიმუმ 30 ქულას. საბაკალავრო ნაშრომი ფასდება შესაბამისი საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით, თუმცა შეფასების რუბრიკები არ არის წარმოდგენილი; ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში;

სტუდენტებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ ისინი იღებენ მათი პროფესორ-მასწავლებლებისგან შესაბამის უკუკავშირის ძლიერი და გსაუმჯობესებელი მხარეების შესახებ; ამასთანავე, შეფასების შესახებ ინფორმაციას აწვდიან როგორც ლექტორები, ასევე ასახულია სტუდენტის ელექტრონულ პორტალზე, იცნობენ შეფასების გასაჩივრების წესსა და პროცედურებს;

ბსუ-ში დანერგილია პლაგიატის გამოვლენის სპეციალური პროგრამა Turnitin; ასევე, შემუშავებული აქვს „აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი", რომელიც ითვალისწინებს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის კატეგორიებს და მათზე რეაგირების მექანიზმებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- სტუდენტთა გზამკვლევის ბმული https://bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html
- გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ვებგვერდი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით ყველა სასწავლო კურსისთვის შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები, რათა მიღწეულ იქნას შეფასების ობიექტურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვადობა;

- რეკომენდებულია, გადაიხედოს ზოგიერთ კურსებში შეფასების მეთოდები, კერძოდ, რიგ სილაბუსში მოცემული შეფასების მეთოდი - როლური თამაში, სიტუაციური ამოცანა - არ არის შესაბამისობაში კურსის შინაარსთან და ბუნდოვანს ხდის შეფასების პროცესს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის, თანდართული დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუს შედეგების ანალიზისას ირკვევა, რომ უსდ-ში შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო.

იქვე უნდა აღინიშნოს, ვინაიდან, პროგრამა არის ახალი და არ ჰყავს აქტიური სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ინტერვიუს დროს მომიჯნავე დარგის სტუდენტები გამოიკითხა.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, კურატორის ინსტიტუტი, პროგრამაში ჩართული პირები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი სტუდენტს სისტემატურად და საჭიროებისამებრ უწევენ კონსულტაციას სასწავლო სივრცეში მაქსიმალურად მარტივად ინტეგრირების გზების, სასწავლო და კვლევითი პროცესის დაგეგმვასთან, პროგრამასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის, შეთავაზებული სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული კითხვებით სტუდენტს შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას როგორც წერილობითი ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, ისე ფიზიკურ სივრცეში სამუშაო საათების განმავლობაში. კურსების შინაარსისა და სპეციფიკის შესახებ სტუდენტს სემესტრის დასაწყისში, პირველივე სალექციო შეხვედრაზე ეცნობება კურსის ხელმძღვანელის მიერ, სასწავლო პროცესში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით კი შეუძლია გამოიყენოს ინდივიდუალური საკონტაქტო საათები, რისთვისაც უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფებზე განთავსებულია ინფორმაცია თითოეული პროფესორ-მასწავლებლის საკონტაქტო-საკონსულტაციო საათების შესახებ.

სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ, უახლესი ინფორმაციის მიწოდებისა და გავრცელების მიზნით უსდ იყენებს კორპორატიულ არხებს: სტუდენტურ პორტალს, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ.გვერდს, სოციალურ ქსელებს. ძირითადი საკომუნიკაციო საშუალება სტუდენტური პორტალია, რომელიც იძლევა აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამშრომლებთან მიმოწერის, ოფიციალური დოკუმენტების გამოთხოვის, შეთავაზებულ ვაკანსიებზე გაცნობის შესაძლებლობას.

საჭიროებისამებრ მოთხოვნილ ცნობებს სტუდენტები პორტალის მეშვეობით იღებენ: მათი ნაწილი გენერირდება მყისიერად, სისტემის მიერ. სპეციფიკიდან გამომდინარე, ცნობების გარკვეული კატეგორიის შესახებ მოთხოვნა მიდის ფაკულტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან. გამზადების შემდეგ, შესაძლებელია როგორც პორტალიდან ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა,

ისე ბეჭდური სახით გატანა. პორტალზე წვდომა აქვს კურსდამთავრებულებსაც (აქვე შეუძლიათ გაეცნონ ინფორმაციას დიპლომის დამზადების სტატუსისა და პროცესის მიმდინარეობის შესახებ).
პირველკურსელთა რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმების პარალელურად უნივერსიტეტის თანამშრომელი აწვდის სტუდენტს პორტალის გამოყენების მოკლე ინსტრუქციას - სპეციფიკის ახსნითა და ძირითადი მახასიათებლებით. იქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო სივრცეში პირველკურსელთა მაქსიმალურად მარტივად ინტერგრაციის მიზნით, სასწავლო წლის დასაწყისში, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს ეცნობებათ უნივერსიტეტის შინაგანაწესის, პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხებისა და სპეციფიკის შესახებ, ეცნობიან საკონტაქტო პირებსა და საკონსულტაციო შესაძლებლობებს.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება სტუდენტურ გამოკითხვათა ორგანიზება, კითხვარის შემუშავება, გამოკითხვის პროცესის წარმართვა და შედეგების ანალიზი, შედეგების დახარისხება და ლექტორებისთვის ზოგადი სახის უკუკავშირის მიწოდება. სტუდენტური კითხვარები და შედეგები ინტეგრირებულია სტუდენტურ პორტალში, აქვეა შესაძლებელი ადმინისტრაციის წარმომადგენელმა უპასუხოს სტუდენტის მიერ დასმულ ნებისმიერ საკითხს ისე, რომ შენარჩუნებული იქნეს ანონიმურობა.
გარდა კითხვარებისა, საკუთარი აზრის დაფიქსირება, საპრეტენზიო განცხადების გაკეთება, გამოცდის შედეგის გასაჩივრება და ხელახლა გადახედვის მოთხოვნა სტუდენტს შეუძლია პორტალზე განცხადების დაწერის გზით. აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, ინტერვიუში მონაწილე სტუდენტებმა ვერ გაიხსენეს გასაჩივრების შემთხვევა პირადი გამოცდილებიდან, მაგრამ განაცხადეს, რომ აქვთ ინფორმაცია ზემოხსენებული შესაძლებლობის შესახებ. მათი თქმით, პროცესს ამარტივებს სისტემური უზრუნველყოფის მაღალი დონე - პორტალზე ატვირთულ დავალებებზევე შეუძლიათ იხილონ კომენტარი, მოითხოვონ უკუკავშირი ან/და ნაშრომის გადახედვა. აკადემიური და მოწვეული პერსონალის განცხადების თანახმად, გამოცდის შემდგომი სალექციო კვირა ეთმობა ინდივიდუალური შეცდომების განზოგადებული სახით გაცნობას, კითხვა-პასუხსა და დისკუსიას.
სამეცნიერო კვლევების სამსახურისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით ეწყობა ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციები. საერთაშორისო პროექტების, გაცვლით პროგრამებში ჩართულობის შესაძლებლობის შესახებ სტუდენტები ინფორმირებული არიან პროფესორ-მასწავლებლების მიერ, უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე გამოქვეყნებული ცნობების, პორტალზე მიღებული წერილებისა და მობილური მოკლე ტექსტური შეტყობინებების საშუალებით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობის მაჩვენებელი არც თუ მაღალია. სტუდენტთა თქმით, დამაბრკოლებელ ფაქტორს ენობრივი ბარიერი წარმოადგენს. იგივე მიზეზი შეიძლება დასახელდეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სარგებლობის დაბალი მაჩვენებლის შესახებ, მაგრამ აქვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ მხრივ პრობლემა სტუდენტთა ინფორმირებაც შეიძლება იყოს, ვინაიდან, ინტერვიუს შედეგად შეიქმნა წარმოდგენა, რომ გარდა გამოცდილების ნაკლებობისა, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სამეცნიერო ბაზების სპეციფიკის, საჭიროებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაც ნაკლებად ჰქონდათ.
ბიბლიოთეკით, ელექტრონული სერვისებითა და კატალოგებით, სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის შესახებ სტუდენტთა ინფორმირებება ევალება უსდ-ს ბიბლიოთეკას. წიგნის საცავში მოიძებნება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ვერსიები. სასწავლო მასალებში მითითებული ლიტერატურა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია.
სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსამთავრებულთათვის დასაქმების შესაძლებლობისა და შესაბამისი ვაკანსიების შეთავაზებას, ტრენინგების ორგანიზებას. სისტემაში რეგისტრირებულ დამსაქმებელთა შეთავაზებებს სტუდენტები ელექტრონული პორტალის საშუალებით ეცნობიან, აქვეა შესაძლებელი რეზიუმეს გენერირება/ჩამოტვირთვა/გაგზავნა. რეგისტრირებულ და უსდ-ს ადმინისტრაციის მიერ გაფილტრულ

ორგანიზაციასა და დამსაქმებელს შეუძლია შეარჩიოს კონკრეტული მიმართულების სტუდენტები იმ შემთხვევაში, თუ მათ თანხმობა აქვთ გაცხადებული სისტემაში რეზიუმეს საჯაროობაზე.
უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ექსპერტთა ჯგუფთან საუბრისას განაცხადა, რომ რადგან პროგრამას არ ჰყავს სტუდენტები, აღნიშნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის შექმნის პროცესში ოფიციალური ფორმით, ჯგუფის წევრების სტატუსით არ ჩართულან, მაგრამ დოკუმენტში ასახულია მათი აზრი და გამოკითხვის შედეგები. ასევე აღინიშნა, რომ სხვა საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები არიან თვითშეფასების ჯგუფის წევრები და შესაბამისად, აქტიურად ჩართულში თვითშეფასების დოკუმენტის შექმნის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტუდენტური პორტალი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ.გვერდი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
- სტუდენტთა გზამკვლევი (სტუდენტთა გზამკვლევი);
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უსდ-მ მეტი აქტივობა განახორციელოს სტუდენტთა ინფორმირების მიზნით საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ბაზებით სარგებლობის შესაძლებლობების შესახებ;
- სასურველია, მეტი ძალისხმევა იქნეს გაღებული ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, გაცვლით სასწავლო პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით;
- სასურველია, სასწავლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფის წევრებად სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მოაზრება, მათი პროცესში აქტიურად ჩართვა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	-
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, ასისტენტი) და მოწვეული პერსონალი (უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი). აკადემიური პერსონალი პროგრამაში ჩართულია საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად (ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №4 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“). აკადემიური პერსონალის ფუნქციები ასევე დამტკიცებულია ფაკულტეტის დებულებით.

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამაში ჩართული პერსონალის ჯამური რაოდენობაა 23, აქედან 21 აკადემიური პერსონალია, ხოლო 2

მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი უნივერსიტეტის სხვადასხვა დეპარტამენტიდან არის წარმოდგენილი - პედაგოგიურ მეცნიერებათა, სამართლისა და საჯარო მმართველობის, სოციალურ მეცნიერებათა, მათემატიკის, ქართული ფილოლოგიის, კომპიუტერულ მეცნიერებათა, ფილოსოფიის. სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობაა 21, აქედან 3 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ-პროფესორი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეული პერსონალის რაოდენობასთან წარმოადგენს 21/2.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურებისთვის. პროგრამას ძირითადად ახორციელებს ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, საუნივერსიტეტო რეგულაციები ამ პერსონალს ავალდებულებს სამუშაო რეჟიმში ყოფნას სამუშაო საათებში. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პერსონალი ჩართული იქნება როგორც სტუდენტების კონსულტირების და პროგრამის განვითარების პროცესებში, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვა ღონისძიებებში.

უშუალოდ ადრეული განათლების თემატიკის კურსების განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობაა 15. წარმოდგენილი CV-სა და პირადი საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ ადრეული განათლების მეთოდოლოგიური კურსების განმახორციელებელი პერსონალის შემადგენლობაში არ არის უშუალოდ ადრეული განათლების დარგის სპეციალისტი, პერსონალის აკადემიური ხარისხი არ უკავშირდება ადრეულ განათლებას. ეს გარემოება სრულიად ბუნებრივია ისეთ ვითარებაში, როცა წლებია ადრეული განათლების სფერო საუნივერსიტეტო განათლების მიღმა იყო. აღნიშნული დანაკლისი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მხოლოდ ნაწილის (5 ადამიანი) შემთხვევაში კომპენსირდება ადრეული განათლების საკითხებზე ტრენინგებში, ვორქშოპებსა თუ სემინარებში მონაწილეობით და ზოგ შემთხვევაში ასევე სამუშაო გამოცდილებით (ადრეული განათლების მეთოდოლოგიის კურსებს ძირითადად სწორედ ეს პერსონალი უძღვება). მაგ: ამ პერსონალს აქვს გავლილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრის ტრენინგები ადრეული განათლების მეთოდოლოგიურ საკითხებზე, ასევე UNICEF-ის მიერ მხარდაჭერილი სემინარები სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამების შექმნასთან დაკავშირებით, ასევე უფიქსირდებათ ამავე თემატიკის ბათუმის სეზონურ სკოლაში მონაწილეობა. ზოგ შემთხვევაში ეს პერსონალი იმავდროულად აღმზრდელის პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი ან საბავშვო ბაღების აღმზრდელებისთვის ტრენინგების მიმწოდებელია. იგივე პერსონალს მიღებული აქვს მონაწილეობა ცალკეულ კონფერენციებში ადრეული განათლების თემატიკაზე ნაშრომით. ამის მიუხედავად, იმისათვის, რომ ადრეული განათლების მეთოდოლოგიური საკითხების დაფარვა კურსების ფარგლებში სიღრმისეულად მოხდეს, მნიშვნელოვანია, რომ ამავე აკადემიური პერსონალის გაძლიერება გაგრძელდეს სკოლამდელი განათლების მიმართულებით და წარმოდგენილ იქნას გუნდის გაძლიერების გეგმა. ა

აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთ კურსებს, რომლებიც ადრეული განათლების თემატიკას, ან

კონკრეტულად მეთოდოლოგიურ საკითხებს ეხება, ზოგ შემთხვევაში უძღვება პერსონალი რომელთა კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება ან სამეცნიერო საქმიანობა არ უკავშირდება ადრეულ განათლებას. მართალია, დადებით ფაქტორად შეიძლება დასახელდეს, რომ სხვადასხვა დისციპლინების კურსებს (მაგ: ადრეული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, სახვითი ხელოვნება, გარემოსდაცვითი განათლება) შესაბამისი სპეციალისტები უძღვებიან (ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, მათემატიკის აკადემიური დოქტორი, ხელოვნების ისტორიის და თეორიის დოქტორი, ბიოლოგიის დოქტორი), თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ამ სავალდებულო კურსების ფარგლებში მოხდეს არა კონკრეტული დისციპლინების, არამედ ადრეული განათლებაში არსებული მიდგომების, მეთოდიკის სწავლება ამ დისციპლინებთან მიმართებით. ამ მხრივაც მნიშვნელოვანია კურსების განმახორციელებელი პერსონალის გაძლიერება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის მხრიდან განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯები - ერთი მხრივ აკადემიური პერსონალის დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერების კუთხით და ასევე პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანების (კარგი პრაქტიკის მქონე აღმზრდელ-პედაგოგების) საუნივერსიტეტო სივრცეში მოწვეულ მასწავლებლებად მოზიდვით. ერთი მხრივ ის გარემოება, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ძირითადად აფილირებული აკადემიური პერსონალია, მნიშვნელოვანია პროგრამის მდგრადობის უზრნველსაყოფად; ამ მიმართულებით გასათვალისწინებელია კურსების შინაარსებიც, მაგალითად ადრეული განათლების მეთოდოლოგიის კურსებში მნიშვნელოვანია უშუალოდ ბავშვებთან მომუშავე პრაქტიკოსების (აღმზრდელ-პედაგოგების) ან ბაღში მეთოდოლოგიის მხარდამჭერი პერსონალის ჩართვა, ხოლო მართვის საკითხებთან დაკავშირებულ კურსებში ბაღების მენეჯერების და ა.შ.

რაც შეეხება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობას, როგორც წარმოდგენილი CV-დან გამოჩნდა და ინტერვიუებით დადასტურდა, პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებსა და კონფერენციებში (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში) და საგრანტო პროექტებში. დადებითად შეიძლება აღინიშნოს ის გარემოება, რომ წარდგენილი რამდენიმე თემა ეხება ადრეული განათლების საკითხებს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში თემები ეხება განათლების საკითხებს, სასკოლო ან საუნივერსიტეტო საფეხურზე სწავლების მეთოდიკას. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის მხრიდან მოხდეს აკადემიური პერსონალის წახალისება, რათა მეტად მოხდეს მათი სამეცნიერო საქმიანობის დაკავშირება ადრეულ განათლებასთან.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი რეგულირდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც შემდეგ მტკიცდება

წარმომადგენლობით საბჭოზე. ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებთან ერთად მტკიცებულებად წარმოდგენილია აკადემიურ პერსონალის საათობრივი დატვირთვის ცხრილი.

პროგრამას ხელმძღვანელობს ორი აკადემიური პირი პედაგოგიურ მეცნიერებათა დარგობრივი დეპარტამენტიდან. ერთ-ერთი ხელმძღვანელი არის პედაგოგიური მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, რომელსაც 2008 წელს დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია და მოპოვებული აქვს განათლების დოქტორის ხარისხი. მისი სადისერტაციო თემა არ უკავშირდება ადრეულ განათლებას. მიმდინარე პერიოდში არის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი და ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. სკოლამდელი განათლების მიმართულებით აქვს შემდეგი გამოცდილება: სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, სკოლამდელი განათლების მიმართულების ტრენერი; ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი“ ხელმძღვანელი; ბსუ-ს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ,,ბაგა-ბაღის აღმზრდელი“ - მასწავლებელი/ტრენერი; სკოლამდელი საფეხურის მასწავლებელთა განვითარების სხვადასხვა მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი და ტრენერი.

პროგრამის მეორე ხელმძღვანელი არის პედაგოგიური მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი (დოქტორთან გათანაბრებული). ნაშრომი არც ამ შემთხვევაში ეხება ადრეული განათლების თემატიკას. აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“ ხელმძღვანელობის გამოცდილება. მონაწილეობდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაგეგმილ სეზონურ სკოლებში: „სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და პრაქტიკული კომპონენტების განვითარება“; „სკოლამდელი განათლების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება (ადრეულ განათლებაში ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის მიმართულებით)“); ამჟამად ჩართულია მკვლევარად გაეროს ბავშვთა ფონდის UNICEF-ის საგრანტო პროექტებში: „კვლევა ფსიქიკური ჯანმრთელობის ხარისხიანი სერვისებზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობის შესახებ“ და „შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდასაჭერად“.

მართალია პროგრამის ხელმძღვანელებს ხარისხი დაცული არ აქვთ ადრეული განათლების თემაზე, თუმცა ამის შემავსებლად ნაწილობრივი შეგვიძლია მივიჩნიოთ მათი მონაწილეობა ადრეული განათლების ტრენინგებში და პროფესიული საქმიანობა, რომელიც ზევით იყო აღწერილი. თუმცა იმისათვის, რომ პროგრამა ეფექტურად განხორციელდეს, მნიშვნელოვანია ხელმძღვანელების მიერ შემუშავდეს როგორც საკუთარი, ასევე პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარების ხელშეწყობის გეგმა ადრეული განათლების მიმართულებით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**21**	**12**	**0**	**21**
- პროფესორი	3	1	0	3
- ასოცირებული პროფესორი	14	9	0	14
- ასისტენტ-პროფესორი	4	2	0	4
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	2	0	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის CV და პირადი საქმეები
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი
- ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი
- აკად. პერსონალის საათობრივი დატვირთვა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მომზადდეს გეგმა, რომელიც ასახავს პროგრამის განმახორციელებელი გუნდის ადრეული განათლების მიმართულებით გაძლიერებას;

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ერთი მხრივ ხდება საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა, ამავდროულად ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობის შეფასება ხდება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილების „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე და ასევე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილების ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს პერსონალის მონაწილეობის ყოველწლიურ თვითშეფასებასა და შეფასებას პედაგოგიურ, სამეცნიერო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში. აკადემიური პერსონალის შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით, შემუშავებულია ამ საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები, ასევე შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები. რაც გულისხმობს პროფესიული განვითარების მიზნით ბსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის სხვადასხვა ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარები, კონგრესი, ფორუმები) მონაწილეობის, Web of Science, Scopus, ERIH PLUS (ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულებებით) ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისთვის პერსონალის ფინანსურ წახალისებას და ა. შ.

ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ უნივერსიტეტი მაქსიმალურად უწყობს ხელს პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებაში როგორც შესაბამისი გარემოს შექმნით, ასევე ფინანსური წახალისებით. ამისი მტკიცებულებაა აკადემიური პერსონალის CV, სადაც ასახულია მათი მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში ბოლო 5 წლის განმავლობაში. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ასევე მონაწილეობს USAID-ის, Erasmus+-ის, Horizon 2020-ის, UNICEF-ის, საგრანტო პროექტებსა და პროგრამებში.

როგორც თვითშეფასების დოკუმენტიდან დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურად განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი პროფესორ-მასწავლებლებს პერიოდულად უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ტრენინგებით/კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილება ,,ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამა აღჭურვილია საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით. უნივერსიტეტის მატეროალური რესურსი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ვიზიტის დროს მოხდა უნივერსიტეტის ფიზიკური გარემოს დათვალიერება, სადაც განხორციელდება სასწავლო პროცესი. ადგილზე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, სპორტული ბაზები და საკონფერენციო დარბაზები.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკითა შესბამისი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით:

ScienceDirect (https://www.sciencedirect.com/)

Scopus (https://www.scopus.com/search/form.uri?display=basic)

EBSCO Publishing (http://search.epnet.com)

Cambridge University Press (http://journals.cambridge.org)

Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing.org) და სხვა.

დათვალიერების დროს, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა პროგრამის ფარგლებში გათვალისიწინებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. უნივერსიტეტი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლამდელი განათლება“ უზრუნველყოფს პრაქტიკის ბაზით, რისთვისაც ბათუმის ბაღების გაერთიანების სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის №07 გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების თაობაზე;
- საბავშვო ბაღებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების-ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, აგრეთვე სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი. როგორც ინტერვიუებით დადგინდა პროგრამასთან მიმართებით მდგრადობის განსასაზღვრად თავდაპირველად მოხდა ხელფასებისთვის საჭირო თანხის დაანგარიშება, დანარჩენი არაპირდაპირი ხარჯები კი სხვა პროგრამებიდან დაიფარება.

პროგრამის ბიუჯეტში ძირითადად ასახულია სახელფასო ხარჯები, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის სახელფასო ფონდს, ასევე გათვალისწინებულია სხვა ხარჯები, რაშიც როგორც ინტერვიუებიდან დადგინდა მოიაზრება მათ შორის პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. მართალია ბიუჯეტის დოკუმენტში სტუდენტთა თავდაპირველი მისაღები რაოდენობა 50 არის მითითებული, მაგრამ ინტერვიუებიდან დადგინდა, რომ ეს რიცხვი არის 30, რაც მეტად შესაბამისობაშია თავდაპირველ რაოდენობასთან შედარებით. თვითშეფასების დოკუმენტის შესაბამისად, პროგრამის ბიუჯეტი ფარავს პროგრამის ხარჯებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 12 დეკემბრის, 01-10/158 ბრძანება ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი განათლება“ ბიუჯეტის (პირველადი ხარჯთაღრიცხვის) დამტკიცების შესახებ“ ;
- ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ბიუჯეტში გაჩნდეს პუნქტი, რომელიც გულისხმობს ადრეული განათლების მიმართულებით პერსონალის მხარდაჭერისთვის საჭირო ხარჯებს;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბსუ-ში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს უძღვება უნივერსიტეტის მართვის ორგანო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამსახურის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს სწავლა-სწავლების, კვლევის პროცესისა და საუნივერსიტეტო სერვისების განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფას, ეფუძნება როგორც უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს, ისე, უმაღლესი განათლების სივრცეში არსებულ ქართულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო გამოცდილებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“ ციკლის პრინციპით მუშაობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობას. შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის

შემუშავება და შემდგომში შეფასება ურთიერთთანამშრომლობით პროცესია და მასში ჩართულნი არიან როგორც შიდა (ადმინისტრაციული, აკადემიური დავ მოწვეული პერსონალი, სტუდენტები) ისე გარე აქტორები (დამსაქმებლები, გარე შემფასებლები, კურსდამთავრებულები).

ბსუ-ში დანერგილია საგანმანათლებლო პროგრამის პერიოდული შეფასებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის პრაქტიკა. პროგრამის შეფასება ხორციელდება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებით, პროგრამის თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შესწავლით, სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგით, გარე ექსპერტების შეფასების პროცესში ჩართულობით და ა.შ., ხოლო სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სააუდიტორიო მუშაობის უწყვეტი შეფასების საფუძველზე, რაც მოიცავს სააუდიტორიო მეცადინეობების კოლეგიალური შეფასებას/ურთიერთდასწრებით, საგამოცდო პროცესზე დაკვირვებას, სტუდენტთა ნაშრომების შერჩევით მონიტორინგს, აკადემიური მოსწრების სტატისტიკურ ანალიზს, საუნივერსიტეტო სერვისების კმაყოფილების კვლევას და სხვ.

ინსტიტუციაში ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც ითვალისწინებს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო სხვა აქტივობებში პერსონალის მონაწილეობის შეფასებას. პერსონალის შეფასების პროცესი ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის www.apa.bsu.edu.ge მეშვეობით, ხოლო შედეგების გაანალიზებისა და შესაბამისი რეკომენდაციები შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების სამსახურიც.

საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, შესაბამისად ზემოაღწერილი მექანიზმების ხარისხის უზრუნველყოფის სრული ციკლით გამოყენება ჯერ არ განხორციელებულა. თუმცაღა, თვითშეფასების ანგარიშითა და თანდართული დოკუმენტებით, ისევე როგორც გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით დაწესებულებაში პირველ ეტაპზე შეიქმნა პროგრამის სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობა დაკომპლექტდა პროგრამის ხელმძღვანელებით, აკადემიური მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალით. ჯგუფში ასევე საჭიროების მიხედვით შედიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის შეფასების პროცესის შემდგომ ეტაპზე ჩაერთო კურიკულუმის საფაკულტეტო კომიტეტი, რომელმაც შეისწავლა პროგრამის შინაარსი, მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის, კერძოდ კი ე.წ. რუკების შესწავლამ და ანალიზმა გამოკვეთა მათში არსებული უზუსტობები, შინაარსობრივი შეუსაბამობები და ტექნიკური ხარვეზები.სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებამ გამოკვეთა სკოლამდელი განათლების პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრების გადამზადების საჭიროებაც, კერძოდ კი, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და ამ მექანიზმებით დაგეგმილი შეფასებების განხორციელების მიმართულებით. ამავე მიზნით, რეკომედებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმოს და ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული შესაბამისი ანგარიშის, პროგრამის თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისა და

გაანალიზების პროცესში და ამ მიზნით, თანამშრომლობდა უნივერსიტეტი ადმინისტრაციასთან და პროგრამით დაინტერესებულ მხარეებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ლექციის/ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკულის/სემინარის/ლაბორატორიული მეცადინეობების შეფასების ფორმა
- ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- პერსონალის თვითშეფასების ელექტრონული სისტემა, იხ. www.apa.bsu.edu.ge
- ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება ,,ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილება „ბსუ-ს საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვი-თარების წესი“ -ს დამტკიცების შესახებ
- პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაგეგმოს და ჩაატაროს სამუშაო შეხვედრები პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებთან, რათა მოხდეს მათთვის დადგენილი ვალდებულებების სრულყოფილი იმპლემენტაცია როგორც პროგრამის შემუშავების პროცესში, ისე შეფასების მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☒	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტებითა და შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან გასაუბრებით დასტურდება პროგრამის ხარისხის გარე უზრუნველყოფის მექანიზმებად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესებით მიღებული რეკომენდაციებისა და გარე, უცხოელ ან ქართველ დარგის ექსპერტთა შეფასებების გამოყენება.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა UNICEF-ის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით, რა დროსაც პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა ევროპული ქვეყნის (იტალია, ინგლისი, გერმანია, პოლონეთი) წარმომადგენელი. აკრედიტაციის ჯგუფის ექსპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა გარე შემფასებელთა დასკვნები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ ცხადყო, რომ პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, კურიკულუმი და კრედიტების განაწილება კრიტიკულად იქნება განხილული გარე ექსპერტთა მიერ. ასევე, ექსპერტთა დასკვნებში გამოთქმულია მოსაზრებები სკოლამდელი განათლების კონცეფციაზე, პროგრამაში თამაშის როლის კომპონენტის გააქტიურებაზე, შეფასების და დაკვირვების კომპლექსურობას და მნიშვნელობაზე, ჩაშენებული პრაქტიკის განხორციელების რისკებზე და ა.შ. გარე შემფასებელთა რეკომენდაციებისა და რჩევების დიდი წილი პროგრამის აკადემიურმა გუნდმა გაიზიარა.

პროგრამის გარე შეფასების პროცესში ასევე ჩართულნი იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები. მათი ჩართულობა განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევისა და სამუშაო შეხვედრების ფარგლებში, რა დროსაც ყურადღება გამახვილდა ინკლუზიური სკოლამდელი განათლებისა და ბავშვის დაკვირვება-შეფასების კომპონენტების გაძლიერების საჭიროებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და შეფასების თითქმის ყველა ეტაპზე გარე აქტორთა ჩართულობა მაღალი იყო (რაც დადასტურდა ინტერვიუირების პროცესშიც), ასევე, პროგრამის გუნდმა გაიზიარა რეკომენდაციებისა და რჩევების უმრავლესობა, პროგრამაში კვლავ რჩება გასაუმჯობესებელ საკითხებად როგორც პროგრამის, ისე სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები, სასწავლო კურსების შინაარსი, სასწავლო ლიტერატურა, სწავლების და შეფასების მეთოდები. სასურველია, გარე შემფასებლებს სიღრმისეული ექსპერტული დასკვნების შესამუშავებლად გაეგზავნოთ არა მარტო პროგრამის აღწერილობა, არამედ სასწავლო კურსების მოკლე ანოტაციები მიზნებით, სწავლის შედეგებით, სასწავლო ლიტერატურით, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- გარე შემფასებლების დასკვნები
- შრომის ბაზრის კვლევა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გარე შემფასებლებს სიღრმისეული ექსპერტული დასკვნების შესამუშავებლად გაეგზავნოთ არა მარტო პროგრამის აღწერილობა, არამედ სასწავლო კურსების მოკლე ანოტაციები მიზნებით, სწავლის შედეგებით, სასწავლო ლიტერატურით, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესებს ხელმძღვანელობს ცენტრაული და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესი, რომელიც ხორციელდება დადგენილი მეთოდოლოგიისა და წინასწარ შემუშავებული ფორმების მიხედვით, კომპლექსურია, ყოველსემესტრულად და წლიურად მოიცავს: სასწავლო პროცესის მონიტორინგს, სააუდიტორიო მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო საკითხების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების დადგენასა და ანალიზს, სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსის შინაარსის, კურსის ლექტორისა და საუნივერსიტეტო მატერიალური რესურსების შეფასებას, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა თუ ტენდენციების დადგენას და მათთან პროგრამის შინაარსის შესაბამისობის უზრუნველყოფას და სხვ.

აქვე, აღსანიშნავია, რომ მონიტორინგისა და ზოგადად ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი ელექტრონული პორტალი. პორტალში ჩაშენებული ფუნქციონალების გამოყენებით ინსტიტუციურ დონეზე ხორციელდება რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა თავმოყრა, ანალიზი, ინფორმაციის გაზიარება და სხვადასხვა ბიუროკრატიული პროცესის გამარტივება (მაგ., სტუდენტებს მარტივად შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა ტიპის ცნობა (სტუდენტის სტატუსის, სასწავლო ბარათიდან ამონაწერის,

სამხედრო გაწვევის შესახებ და ა.შ.) ქართულ და ინგლისურ ენებზე. პორტალი უნიკალურია იმ მხრივაც, რომ ის საშუალებას აძლებს სტუდენტებსა და რეგიონში არსებულ დამსაქმებელ ორგანიზაციებს ყოველგვარი შეფერხების გარეშე დაამყარონ კომუნიკაცია, რაც ერთი მხრივ, ხელს უწყოს სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის დამსაქმებელთა უნივერსიტეტით დაინტერესებისა და მასთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივას. პორტალის განახლებისა და გაუმჯობესების პროცესი მიმდინარეობს ყოველწიურად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისა და გამოწვევების პარალელურად. ამის საუკეთესო მაგალითია ის, რომ პორტალს დაემატა აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემები, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და დაცული თემების ველი, რაც შექმნის ერთგვარ რეპოზიტორს, ინტელექტუალური ნაშრომების საცავს უნივერსიტეტისთვის. პორტალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საშუალებას აძლევს ადვილად მოიპოვოს და დაამუშავოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები (სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, დასაქმების სტატისტიკა, გამოკითხვის შედეგები და სხვ.), ასევე, მიიღოს პირდაპირი უკუკავშირი სტუდენტისგან, რაც საგანმანათლებლო პროგრამებისა და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასებისა და განვითარების შესაძლებლობებს იძლევა. ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულებამ რამდენიმე წლის წინ დაიწყო მუშაობა პორტალზე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების ჩაშენების მიმართულებით, თუმცაღა პროცესი შეფერხდა პანდემიის გამო. ასევე, გარკვეულწილად გამოწვევას წარმოადგენს თავად სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების გამართულობაც და ამ მიმართულებით უნივერსიტეტის მიერ დაგროვილი გამოცდილების გაანალიზებაც. სასურველია, დაწესებულებამ ინსტიტუციურ დონეზე დაიწყოს საუნივერსიტეტო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მონიტორინგი, რათა გამოავლინოს და შეისწავლოს ძირითადი პრობლემები, რაც მექანიზმის გაუმართავობას და არაეფექტიანობას იწვევს. ამ მიზნით, შესაძლებელია შესწავლილ იქნას როგორც ცალკეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, ისე აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები.

დაწესებულებაში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში და ხდება პროგრამაში ცვლილებების შეტანის საფუძველი. ცვლილებები შემდგომ ეტაპზე განიხილება კურიკულუმის კომიტეტისა და ფაკულტეტის საბჭოზე. პროგრამის მოდიფიცირების პროცესში ყურადღება ექცევა სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა მოსაზრებებს, რომელთა დაფიქსირებაც ხდება საუნივერსიტეტო გამოკითხვებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობით.

სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამის პირველადი მონიტორინგის მიზნით პროგრამის აკადემიური და ადმინისტარციული გუნდის მიერ განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- UNICEF-ის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა უცხოელი ექსპერტების მიერ
- ჩატარდა ონლაინ შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რათა მომხდარიყო მათი საჭიროებების დადგენა
- განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, რა დროსაც მოხდა როგორც დამსაქმებლების გამოკითხვა, ისე რეგიონში არსებული საჭიროებების დადგენა
- პროგრამის კომიტეტმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამა და მასზე თანდართული დოკუმენტები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების მიხედვით, პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური გუნდი გაეცნო ანალოგ პროგრამებს. დოკუმენტის „საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ ბენჩმარკინგი და

დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი“ მიხედვით შესწავლილ იქნა გერმანიის, გაერთიანებული სამეფოს და უნგრეთის უნივერსიტეტების ანალოგი პროგრამები:

1. BA Early Childhood Studies, University of Plymouth, UK,
2. BA Kindheitspedagogik, Die Katholische Hochschule für Sozialwesen Berlin , DE,
3. Kindheitspädagogik (B.A.), Die Katholische Stiftungshochschule München (KSH) , DE ,
4. Preschool Teacher BA Program, University of Pecs, Hungary.

აღნიშნული დოკუმენტი არ გვთავაზობს ანალოგი პროგრამების სიღრმისეულ ანალიზსა და შედარებას უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამასთან. გამომდინარე იქიდან, რომ ერთი მხრივ, სტანდარტის 5.3. კომპონენტის სავალდებულო მოთხოვნაა პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, რათა პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გამოყენებული იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ შიდასაუნივერსიტეტო რეგულაცი („საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და განვითარების წესის“ მე-3 მუხლი- პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება) მოითხოვს ანალოგი პროგრამების შესწავლას და ანალიზს პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესში, სასურველია, მეტი ეფექტიანობისთვის პროგრამის სამუშაო გუნდმა გააქტიუროს მუშაობა აღნიშნული მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების და განვითარების წესი
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი
- გამოკითხვის ფორმები
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი განათლება“ ბენჩმარკინგი და დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ ინსტიტუციურ დონეზე დაიწყოს საუნივერსიტეტო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მონიტორინგი, რათა გამოავლინოს და შეისწავლოს ძირითადი პრობლემები, რაც მექანიზმის გაუმართავობას და არაეფექტიანობას იწვევს. ამ მიზნით, შესაძლებელია შესწავლილ იქნას როგორც ცალკეული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, ისე აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნები.
- სასურველია, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და პროგრამის მიზნების, სწავლის შეგდების, შინაარსისა და სტრუქტურის დახვეწის მიზნით სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ანალოგი პროგრამები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „სკოლამდელი განათლების“ საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა

ქეთევან აფთარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხათუნა დოლიძე 

სახელი, გვარი, ნინო ჯიჯავაძე 

სახელი, გვარი, ქრისტინე ჩიხლაძე

სახელი, გვარი, ანა ჭრელაშვილი